

# შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

## ბრძანება № 01-01/29

თბილისი

“ 25 “ აპრილი 2016 წ.

*აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ:*

*„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9, შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კონკურსის ჩატარების წესის 1 მუხლის საფუძველზე*

### **გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2016 წლის 25 აპრილს გამოცხადდეს ღია კონკურსი შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის ასოცირებული პროფესორის 4 (ოთხი) წლის ვადით დასაკავებლად კონკურსის შედეგების დამტკიცების დღიდან.
2. კონკურსის მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოოს 2016 წლის 30 მაისიდან 2016 წლის 10 ივნისამდე. ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. კონკურსი ჩატარდება 2016 წლის 22 ივნისს, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში (23, 24, 27 ივნისი). კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2016 წლის 28 ივნისს.
3. კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში არჩეული იქნება 5 აკადემიური პერსონალი - 5 ასოცირებული პროფესორი.

### **ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი**

#### **ბიზნესის მართვის კათედრა**

1 ასოცირებული პროფესორი

## სამართლის ფაკულტეტი

### საჯარო სამართლის კათედრა

1 ასოცირებული პროფესორი

## სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

### საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

3 ასოცირებული პროფესორი

ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებად კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია:

- დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
- სამეცნიერო კვლევების ანოტაცია (1 გვერდზე, acadnux. – 12, 1,5 ინტერვალით);
- სასწავლო სამეცნიერო პროგრამები (სილაბუსები, სწავლების მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნების გზები)
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია.

სასურველია კონკურსანტმა წარმოადგინოს:

- ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- მისი ხელმძღვანელობით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამები(საბაკალავრო, სამაგისტრო)

4. ყველა კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- ავტობიოგრაფია (CV)
- საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობის ასლი;
- ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით (3X4)
- ცნობა სამსახურიდან შრომის სტაჟის ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან

5. მამაკაცებმა 27 წლამდე უნდა წარმოადგინონ სამხედრო ბილეთის ან მიწერის მოწმობის ასლი.
6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და საქართველოს პერიოდულ პრესაში.
7. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გააცნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი